სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080199063087119

№ 4293

30 / ოქტომბერი / 2019 წ.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2019 წლის 25 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190004090 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია „რეფერალური მომსახურების“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების (CPV 85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) შესყიდვა, ღირებულებით - 253400 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობები (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები, ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონარული ჰიპერტენზია) სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების ძირითად ნაწილს შეადგენს. საქართველოში, 2017 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში, 75% ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე მოდიოდა. ფილტვის რეაბილიტაცია რესპირატორული მედიცინის წარმატებული პრაქტიკაა და ქრონიკულად გაუარესებული რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტებისთვის წარმოადგენს ინდივიდუალურად მორგებულ, პაციენტზე ორიენტირებულ და მულტიდისციპლინარული მკურნალობის პროგრამას. ფილტვის რეაბილიტაცია მიზნად ისახავს სიმპტომების შემცირებას, ფუნქციონალური სტატუსის ოპტიმიზაციას, პაციენტის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაზრდას და ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას დაავადების სისტემური გამოვლინებების სტაბილიზაციის ან უკუგანვითარების გზით. ამდენად, სახელმწიფოს მიერ რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულთა სრულფასოვანი მკურნალობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, აღნიშნული კატეგორიის პაციენტთა ჯანმრთელობისა და სოცოცხლისთვის რისკის შექმნის თავიდან ასაცილებლად სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ გეგმავს „რეფერალური მომსახურების“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვას. საგულისხმოა, რომ სასუნთქი სისტემის სარეაბილიტაციო კომპლექსურ სამედიცინო მომსახურებაზე სახელმწიფოს მხრიდან პროგრამულად განსაზღვრული ხელმისაწვდომობა აქამდე არ არსებობდა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შესასყიდი მომსახურების მოსარგებლეები იქნებიან: ა) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ბ) იმ ოჯახის წევრები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს; გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები; დ) საქართველოს მთავრობის სახელმწიფო

კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ/ აღრიცხული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) ,,მომატებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით განსაზღვრულ სამუშაოებზე დასაქმებული პირები, რომლებსაც სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების მაღალი რისკის გამო, აქვთ სასუნთქი სისტემის დაავადებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, ღონისძიების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით და შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია „რეფერალური მომსახურების“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, რომ რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობები (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები, ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონარული ჰიპერტენზია) სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების ძირითად ნაწილს შეადგენს. საქართველოში, 2017 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში, 75% ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე მოდიოდა. ფილტვის რეაბილიტაცია რესპირატორული მედიცინის წარმატებული პრაქტიკაა და ქრონიკულად გაუარესებული რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტებისთვის წარმოადგენს ინდივიდუალურად მორგებულ, პაციენტზე ორიენტირებულ და მულტიდისციპლინარული მკურნალობის პროგრამას. ფილტვის რეაბილიტაცია მიზნად ისახავს სიმპტომების შემცირებას, ფუნქციონალური სტატუსის ოპტიმიზაციას, პაციენტის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაზრდას და ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას დაავადების სისტემური გამოვლინებების სტაბილიზაციის ან უკუგანვითარების გზით. ამდენად, სახელმწიფოს მიერ რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულთა სრულფასოვანი მკურნალობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, აღნიშნული კატეგორიის პაციენტთა ჯანმრთელობისა და სოცოცხლისთვის რისკის შექმნის თავიდან ასაცილებლად დაგეგმილია „რეფერალური მომსახურების“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვა. საგულისხმოა, რომ სასუნთქი სისტემის სარეაბილიტაციო კომპლექსურ სამედიცინო მომსახურებაზე სახელმწიფოს მხრიდან პროგრამულად განსაზღვრული ხელმისაწვდომობა აქამდე არ არსებობდა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შესასყიდი მომსახურების მოსარგებლეები იქნებიან: ა) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ბ) იმ ოჯახის წევრები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს; გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები; დ) საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ/ აღრიცხული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები; ე) ,,მომატებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N381 დადგენილებით განსაზღვრულ სამუშაოებზე დასაქმებული პირები, რომლებსაც სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების მაღალი რისკის გამო, აქვთ სასუნთქი სისტემის დაავადებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ღონისძიების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით და შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „რეფერალური მომსახურების“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფილტვის ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190004090 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე